საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/17
10/ივნისი/2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული
რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და კლინიკური
მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების
(პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის
ეროვნულ საბჭოს

რეცენზია

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექცია (COVID-19) დღესდღეობით საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ბოლო ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში სულ დადასტურებულია COVID-19-ის 6 მილიონზე მეტი შემთხვევა, მათგან 380 000-ზე მეტი ავადმყოფი გარდაიცვალა. საქართველოში დღესდღეობით სულ დადასტურებულია COVID-19-ის 800-ზე მეტი შემთხვევა და გარდაიცვალა 13 ავადმყოფი.

ა.წ. 24 მარტს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით (N01-119/ო) დამტკიცებულ იქნა პროფესორ თენგიზ ცერცვაძის ხელმძღვანელობით შემუშავებული „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მართვა“ კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი).

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის COVID-19-ის კლინიკური მართვის განახლებული პროტოკოლის, მსოფლიოს წამყვანი სამედიცინო ცენტრებისა და უნივერსიტეტების COVID-19-ის მკურნალობის გაიდლაინებით/პროტოკოლებით და აგრეთვე სხვა უახლესი ლიტერატურის შედეგების საფუძველზე ზემოთაღნიშნულ პროტოკოლში ავტორების მიერ განხორციელდა ცვლილებები.

პროტოკოლი დიდ დახმარებას გაუწევს ინფექციონისტებს, რეანიმატოლოგებს, ოჯახის ექიმებს და ასევე სხვა პროფილის ექიმებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდაციას ვუწევ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინების) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოზე პროფესორ თენგიზ ცერცვაძის მიერ წარმოდგენილ „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მენეჯმენტის“ პროტოკოლის განახლებულ ვერსიას.

პატივისცემით,

ირინე ქაროსანიძე

ა(ა)იპ “საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის” პრეზიდენტი